საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №494
2023 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 112-ე მუხლის:

1. 64-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„64. ამ ინსტრუქციის 27^1 მუხლის მიზნებისთვის, გადასახადის გადამხდელი (გარდა ამ მუხლის 64^1 და 64^2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ვალდებულია 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით არსებული, ამავე ინსტრუქციის 25^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით და წესით, 2023 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით.“.

2. 64-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 64^1 და 64^2 პუნქტები:

„64^1. გადასახადის გადამხდელი, რომელსაც 2023 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით, საგადასახადო/სხვა უფლებამოსილ ორგანოში/სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების გამო არ აქვს 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით არსებული, ამ ინსტრუქციის 25^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განკარგვის უფლება და აღნიშნული უფლება მიიღო:

ა) 2023 წლის 17 აგვისტოდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ვალდებულია ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით და წესით;

ბ) 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ვალდებულია ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ამ უფლების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით და წესით.

64^2. ამ ინსტრუქციის 27^1 მუხლის მიზნებისთვის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო ვალდებულია 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით არსებული, ამავე ინსტრუქციის 25^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით და წესით, არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.